

ლაგოდეხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის

ოქმი № 6

02.09.2019 წელი

ქ.ლაგოდეხი

სხდომას ესწრებოდნენ:

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე: კახა ჯამბურია

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები(რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის)

დღის წესრიგი:

1. ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ შეთანხმებაზე ხელმოწერის და მასზე შეერთების შესახებ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხს: სალომე ღონლაძე/

მოისმინეს:

მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა განიხილეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის მომართვა, რომლითაც ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, მერი ითხოვს საკრებულოს თანხმობას, რათა ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს (CEMR) მიწვევით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სახელით, ხელი მოაწეროს და შეუერთდეს ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის ევროპულ ქარტიას. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს (CEMR) მიერ, ინსბრუკში, 2006 წლის მაისში, წარმოდგენილი იქნა „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“, რომელიც მომზადებულ იქნა ევროკომისიის მხარდაჭერით, ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის V სათემო სამოქმედო პროგრამის ფარგლებში. ქარტია გამიზნულია ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური მთავრობებისათვის, რომლებიც მოწვეულნი არიან, ხელი მოაწერონ დოკუმენტს, რათა ფორმალურად და საჯაროდ დაადასტურონ ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის პრინციპისადმი ერთგულება და საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში დანერგონ ქარტიით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ამ ვალდებულებების განსახორციელებლად, თითოეული ხელმომწერი მხარე ვალდებულია, შეადგინოს თანასწორობის სამოქმედო გეგმა, სადაც განსაზღვრული იქნება ამ მიზნის მიღწევისათვის საჭირო პრიორიტეტები, ქმედებები და რესურსები.

ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობა წარმოადგენს ფუნდამენტურ უფლებას ყველასთვის და არსებით ფასეულობას ყველა დემოკრატიისათვის. იმისათვის, რომ ეს უფლება რეალიზებულ

იქნას, არა მარტო კანონიერად უნდა იქნას აღიარებული, არამედ ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული ყველა ცხოვრებისეულ ასპექტში: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული.

როგორც ხალხთან ყველაზე დაახლოებული მმართველობის შტო, ადგილობრივი ხელისუფლება წარმოადგენს ყველაზე კარგ პოზიციაზე მყოფ ძალას უთანასწორობის დასაძლევად და ჭეშმარიტად ეგალიტარული საზოგადოების ხელშესაწყობად. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და მთელ რიგ ადგილობრივ აქტორებთან თანამშრომლობით ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია კონკრეტული ღონისძიებების გატარება ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის სასარგებლოდ.

დაადგინეს:

„ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ შეთანხმებაზე ხელმოწერა და ქარტიასთან მიერთება გააძლიერებს საბჭოს შესაძლებლობებს და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანი ბერკეტი იქ ქნება. ამდენად საბჭო რეკომენდაციას აძლევს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემას.

მუნიციპალური გენდერული თანასწორობის
საბჭოს თავმჯდომარე:
მუნიციპალური გენდერული თანასწორობის
საბჭოს მდივანი:

/კ. ჯამბურია/

/თ. მუმლაძე/